პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მთრმელთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO и TBILISSKOGO KOMITETOV KP (B) GRUZII и SOVETOS DEPUTATOV TRUDYAŠCHIXSA GRUZINSKOY SSR

გამოდის 29-ე წელი

შაბათი, 18 დეკემბერი, 1948 წ. № 250 (8294). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მტკიცედ დავნერგოთ ნათესბალახიანი თესლბრუნვა—წერწნავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრებს გავაფართოებთ — საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კატრიოტული ინიციატივის პასუხად (მე-2 გვერდი).

შეიდეოგზისა და ფოკრმალიზმის წინააღმდეგ (მე-2 გვერდი).

გაფართოებული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლებისა „ამასახეა—კოლოლენთის მუშათა პარტიის მენეფრალურ ფილიალის ბიუროს მოხსენება კოლოლენთის მუშათა პარტიაში გაბასხარაშვილეთ ყრილობაზე (მე-3 გვერდი).

ფუცხოეთის ამბები—დეკემბერი. (მე-4 გვერდი).

მტკიცედ დავნერგოთ ნათესბალახიანი თესლბრუნვა

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ კულტურული მიწათმოქმედების დანერგვის. უხვი მოსავლის მოყვანისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ფართო შესაძლებლობა მოგვცა. გაძარცნილმა სახმოთა მეცხოერმა ვ. რ. ვილიამსმა დიდი რუსი მეცნიერების ვ. ვ. დოკუჩაევისა და პ. ა. კოსტიჩევის მიღწევებზე დაყრდნობით შექმნა შესანიშნავი მოძღვრება, რომელმაც მიწათმოქმედების საბუთიანი სისტემის სახელწოდება მიიღო. ამ მოძღვრების საბოლოო ჩამოყალიბებით საბჭოთა აგრონომიერი მეცნიერება ახალ, მაღალ საფეხურზე ავიდა. დოკუჩაევ-კოსტიჩევ-ვილიამსის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მწყობრი სისტემა საფუძველად დაედო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებას „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ეელიან და ტყეეელიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის წამყვანი შემადგენელი ნაწილია ნათესბალახიანი თესლბრუნვა მრავალწლიანი პეოკოსანი და მარცვლოვანი ბალახების ნარეკვის გამოყენებით. სწორი ნათესბალახიანი თესლბრუნვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწორი ნათესბალახიანი თესლბრუნვის შემოღებასა და ათვისებას. პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე მიგვითითებდა: „სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს სწორ თესლბრუნვათა შემოღება, წმინდა ანეული გაფართოება, სათესლე საქმის გაუმჯობესება მიწათმოქმედების ყველა დარგში“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1948 წლის 15 აპრილის ამხანაგმა კ. ნ. ჩარკეზიანმა თქვა: „თესლბრუნვის ათვისებისა და სრული დაცვის საქმე პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებათა ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს. ამ საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოფლის მეურნეობის ამ სპეციალისტებს, რომლებიც სოფლად მუშაობენ. საჭიროა ზუსტად დაფიქსათ თესლბრუნვისადმი წაყენებული ყველა მოთხოვნა, ეინიციან, როგორც ცნობილია, თუნდაც ერთი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა თითქმის სავსებით აჭარწყლებს ამ უმნიშვნელოვანეს აგროტექნიკურ ღონისძიების მთელ მნიშვნელობას“.

ამხანაგ ჩარკეზიანის ამ მითითებიდან სათანადო დასკვნა უნდა გავაკეთოთ.

მიჩურინ-ლისენკოს მატერიალისტური მეცნიერების ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად ძვირფასი ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურები ინერგება ჩვენი ქვეყნის ახალ რაიონებში. ჩვენი გაზეთის 5 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო მახარაძელთა წერილი ოდესის საკარეუნონ რაიონის კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი. ამ წერილში მახარაძელებმა მოიძე უკრაინელ კოლმეურნეებს აღუთქვეს დახმარება ნერგებითა და სპეციალისტების გაგზავნით ციტრუსოვანი კულტურების დანერგვის საქმეში.

ოდეს ჩვენ ბეუმდგომ ოდესის საკარეუნონ რაიონის მშრომელთა საპასუხო წერილს. ოდესელები დიდად აღფრთოვანებულნი არიან მახარაძელ კოლმეურნეთა ამ ძმური დახმარებით.

ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დროშით უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეობათა შორის ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვისათვის.

მიეცეთ საბჭოთა საშობლოს მეტი პური, ციტრუსოვანთა ნაყოფი!

თანმიმდევრულად, შეუპოვრად ვებრძოლოთ ნათესბალახიანი თესლბრუნვის მტაცეცდ დასანერგავად, მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ი. ბ. სტალინს

მოსკოვი

ეტოვებ რა საბჭოთა კავშირის საზღვრებს, ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას ყულობინი თქვენ და სსრ კავშირის მთავრობას ჩვენთვის გაწეული თანაგრძნობისა და დახმარებისათვის, ჩვენი ხალხისადმი მეგობრული დამოკიდებულებისათვის, რომელიც აშენებს ახალს, სოციალიზმისაკენ მიმავალ რუსეთელებს. განსაკუთრებით თქვენ, ბატონო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეს კავშირის მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს შემდგომ დიდ მიღწეულს დამოუკიდებელ ხალხთა მშვიდობის, კეთილდღეობისა და მგზარდოული თანამშრომლობის საქმეში.

ანტონენ ზაპოტოცკი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს
ვ. მ. მოლოტოვს

მოსკოვი

ეტოვებ რა მოკავშირე საბჭოთა კავშირის საზღვრებს, ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას ყულობინი ბატონ-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის საჭიროების მეგობრული გგგეხისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოლაპარაკების შედეგები შემდგომ წელილი იქნება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურღვევი კავშირის განმტკიცების საქმეში და რომ მას მაღალ შეფასებას მისცემს ჩეხოსლოვაკიის ხალხი, როგორც დიდი საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარების ახალ გამოვლინებას.

ვ. კლიმენტინი
ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 16 დეკემბერი. (საკადსი). 15-16 დეკემბერს შედგა უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

2. უკრაინის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული განათლების დადგმარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებთა შესახებ.

პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — მოწვეულ იქნას უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVI ყრილობა 1949 წლის 25 იანვარს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ს. ნ. ნოვიკოვმ.

პლენუმმა მიიღო ერეკული გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია რესპუბლიკაში მთელი პროპაგანდისტული და იდეოლოგიური მუშაობის გადამწყვეტ აღმავლობისაკენ.

ლაჯვეიაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 30-ე წლისთავი

რიგა, 16 დეკემბერი (საკადსი). ხვალ სრულდება 30 წელი მას შემდეგ, რაც ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. 1918 წლის ნოემბერში ლატვიელმა რევოლუციონმა მსროლელებმა გერმანელებისა და ადგილობრივი საკიონარსტენტებისაგან გათავისუფლეს ქალაქი ვალკი. აქ შექმნილმა დროებითმა საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მანიფესტი ლატვიაში ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ.

ლატვიის ს ს რესპუბლიკის რევოლუციის მუზეუმში შეაგროვა საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ლატვიელი ხალხის ცხოვრების ამ ისტორიულ პერიოდს ეხებიან.

გამოფენილია ტკბილი რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი. საერთო ყურადღებას იპყრობს ამხანაგ ი. ბ. სტალინის სტატია „საქმე წინ მიდის“, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1918 წლის 22 დეკემბერს.

1919 წლის 3 იანვარს წითელი არმიის ჯარაუბი გათავისუფლეს ქალაქი რიგა. ბურჟუაზიული „მთავრობა“, გერმანელ ჯარების დაცვით გაიქცა კურლანდიაში. 1919 წლის 13 იანვარს რიგაში გაიხსნა საბჭოების პირველი ყრილობა, რომელიც დაესწრო ი. ბ. სვერდლოვი. მეზეუმში გამოფენილია ამხ. სვერდლოვის სიტყვის ტექსტი და ყრილობის მიერ მიღებული ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.

ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლებამ 5 თვეს იარსება. 1919 წლის მაისში ლატვიის ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა საერთაშორისო კონტრრევოლუციის სამხედრო დახმარებით სისხლში ჩაახრჩეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, მხოლოდ ორი თვეული წლის შემდეგ — 1940 წელს ლატვია კვლავ და სამუდამოდ საბჭოთა რესპუბლიკა გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ისტორიულ 30-ე წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ რესპუბლიკაში. საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და ლატვიის სოფლებში კითხულობენ მოხსენებებსა და ლექციებს, აწყობენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ლატვიის მშრომელთა ბრძოლისადმი მიძღვნილ საღამოებს. ბუზოიმებსა და ბიბლიოთეკებში იხსნება გამოფენები.

ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნერამბა, რომელმაც 1919 წელს მოთავეობენი იყვნენ ლატვიის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ამ წლების ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ სხვა შენობებს უკეთდება მემორიალური დაფები.

ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები ა. ა. ჟდანოვის ნაშრომებში

სამეცნიერო კონფერენცია ლიტერატურის ინსტიტუტში

ლენინგრადი, 15 დეკემბერი. (საკადსი). „ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები ა. ა. ჟდანოვის ნაშრომებში“ — ამ თემას მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც დღეს მედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში.

— სოციალისტური ხელოვნებისათვის ბოლშევიკური პარტიის ბრძოლაში, — თქვა თავის შესავალ სიტყვაში პროფესორმა ლ. ა. პლოტნინმა,—განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ანდრეი ალექსანდრეს-ძე ჟდანოვს. ჩვენი ლიტერატურის განვითარების უკანასკნელი 15 წელი განუყრელად დაკავშირებულია ა. ჟდანოვის სახელთან, ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე მის პროგრამულ გამოსვლებთან. მისმა აზრებმა სოციალისტურ რეალიზმის განვითარებისათვის რუსული რევოლუციურ - დემოკრატიული ტრადიციების როლისა და მნიშვნელობის შესახებ, დეკადენტურ რეაქციულ დაჯგუფებათა მკაცრმა კრიტიკამ ბევრი პრინციპულად ახალი რამ შეიტანეს XIX-XX საუკუნეების ლიტერატურის ისტორიის თეორიულ გაგებაში.

ა. ა. ჟდანოვის აზრები ხელს უწყობენ იმის, რომ მთელი ჩვენი მუშაობა ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში გარდაიქმნას ნამდვილი ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით.

მოხსენებანი თემაზე: „ა. ა. ჟდანოვის გამოსვლები ფილოსოფიურ დისკუსიაში და მათი მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის“ გაკეთეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ნ. კ. პიქსანოვმა და პროფესორმა გ. ა. ბიალიმ. საბჭოთა მუსიკაში ფორმალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა მ. ბ. ალექსეევმა.

საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრებს გავაფართოებთ

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ოდესის საგარეუნონო რაიონის კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა დიდი აღფრთოვანებით განიხილეს თქვენი წერილი. შესანიშნავი საქმე წამოიწყეთ! გაზეთების „ბრავდა უკრაინისა“ და „ზარია ვოსტოკას“ სამუალებით ყულთად მადლობას გიძღვნით.

ოდესის საგარეუნონ რაიონის ომამდე არა ბარტო მარცვლეული კულტურები მოჰყავდა, არამედ იგი ქალაქის ხილბოსტნეულის, კარტოფილისა და მეცხოველეობის მძლავრი ბაზაც იყო.

ს

პარტიული ცხოვრება

პარტიულ კონფერენციებზე

თბილისის კიროვის რაიონი

15 დეკემბერს ბერიას სახელობის ელექტრონის სახლში გაიხსნა ქ. თბილისის კიროვის რაიონის IX პარტიული კონფერენცია.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. გოგუა, ა. თოფუტრიძე, გ. ზამბახიძე, ს. იმნიშვილი, ე. ჩერქეზია, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და წარჩინებული ადამიანები.

საანგარიშო პერიოდში რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ი. ჩოჩიამ.

— VIII რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, — განაცხადა ამხ. ჩოჩიამ, — პარტიის რაიკომს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ რაიონის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სამეცნიერ ტექნიკურ საწარმოთა საწარმოთა მიერ ხუთწლეულის ვადაზე ადრე და დადასტურებით შესრულება. ჩვენ ვვმუშაობდით ამ დავალების შესასრულებლად.

რაიონის საწარმოებმა 11 თვის დავალება ვადაზე ადრე 102,8 პროცენტით შეასრულეს. ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები წარმატებით ანაღდებენ თავიანთ ვალდებულებას ზეგეგმით დაგროვების შესახებ. რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის 5 მილიონზე მეტი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება მიიღეს. კიდევ უფრო მეტი ზეგეგმითი დაგროვება შეიძლება მიგვეღო, რაიონის ყველა საწარმო მოცემულ ვადებში და ხარისხიანად რომ ასრულებდეს საპროგრამო დავალებას.

ფეხსაცმლის პირველი და მეორე ფაბრიკები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში. ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის 11 თვის გეგმა 92 პროცენტით შეასრულა. ფაბრიკაში სისტემატურად არ სრულდება პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების დავალება. კიდევ უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვს ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკას.

საანგარიშო პერიოდში, — განაგრძობს მოხსენებელი, — რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას.

რაიონში ამჟამად ჩამოყალიბებულია და მუშაობს „საკავშირო კ. ბ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი 42 წრე, 32 პოლიტსკოლა და ლენინის და სტალინის ბიოგრაფიების. შემსწავლელი 9 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 1.878 კაცი. 775 კომუნისტი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს.

შემდეგ ამხ. ჩოჩია დაწვრილებით ჩერდება საგაგიტაციო მუშაობისა და კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხზე, ყურადღებას ამახვილებს სასამართლო და პროკურატურის ორგანოების. მუშაობის ნაკლოვანებებზე.

ამხ. ჩოჩიამ თავისი მოხსენების დიდი ნაწილი მიუძღვნა რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანი მხარეების კრიტიკას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ნ. გაბოკიძე (ბამბის ფაბრიკა), გ. ბარძიმიფი (ლითონსამსხმელო ქარხანა), ა. აბუსერიძე (მეორე სამკერვალო ფაბრიკა), ი. ეფფხაძე (ტყავის ქარხანა № 1), დ. ეძგვერაძე (რაისაბჭოს აღმასკომი), გ. რობაქიძე (მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო), გ. ტატიშვილი (რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება) და სხვ. — სულ 16 ამხანაგი.

ბამბის ფაბრიკის პარტიკომის მდივანმა ამხ. ნ. გაბოკიძემ აღნიშნა, რომ პარტიულ სწავლებაში ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგიერთი კომუნისტი თავს. არიდებს მეცადინეობას, ზიგნენ დამოუკიდებლად მომუშავეთათვის იშვიათად ეწყობა ლექციები, საუბრები და სხვ. პარტიული სწავლების საქმეში არსებული ჩამორჩენა პირველ რიგში პარტიული ბიუროს სუსტი მუშაობის უნდა აიხსნას. ამხ. გაბოკიძემ ილაპარაკა აგრეთვე ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლების განხორციელებაზე.

თვითკრიტიკული იყო № 2 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის ამხ. ა. აბუსერიძის გამოსვლა.

კონფერენციის დელეგატები რაიონის პროკურორის ამხ. გ. ტატიშვილისაგან, რომელიც კამათში გამოვიდა, მოელოდნენ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ბოლშევიკურ მხილებას. მაგრამ ასე არ მოხდა. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა მართლმსაჯულებისა და პროკურატურის ორგანოების ზედამხედველობით ამოცანების თეორიულ დასაბუთებას და ამით ამმოსწორა თავისი რეგლამენტი.

რაიკომის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ამხ. თ. ცხვედიანმა ძლიერ ცოტა თქვა იმის შესახებ, თუ რა დახმარებას უწევენ განყოფილება პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული განათლების ქსელში მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. შეჩერდა რა ზიგნენზე დამოუკიდებლად მუშაობის საკითხზე, ამხ. ცხვედიანმა განაცხადა: ამ მეუნიჭიერება დავასახელო ზოგიერთი კომუნისტის გვარი, რომელიც სრულებით არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. გამოიჩინა ინ „სულგრძელობა“ (როგორც მან აღნიშნა), ცხვედიანმა ვერ შესძლო ბოლშევიკურად გაეკიცხებინა ზოგიერთი კომუნისტის უმოქმედობა საკუთარი თეორიული ცოდნის დონის ამაღლების საქმეში.

კონფერენციამ რაიკომის განყოფილებას მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, მიიღო სათანადო რეზოლუცია, დახუტრული (ფარული) კენჭისყრით აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

შედეგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ჩოჩია, მეორე მდივნად — ამხ. მ. ფერეფოელი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ი. ხომერიკი.

ჩხარის რაიონი

შედგა ჩხარის რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ე. გოგიაშვილმა.

— მიუხედავად იმისა, — განაცხადა ამხ. გოგიაშვილმა, — რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, ფლიმფე მაინც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი ამ დარგში. წელს რაიონმა ვერ შეასრულა თესვის სახელმწიფო გეგმა. არც მოსავლიანობის გეგმა შესრულებულა.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით გაანალიზა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში და იოლამარაკა რაიონის პარტიული ორგანიზაციების მორიგ ამოცანებზე.

სარეგიონო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ჭანტურიძის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც 13-მა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა.

კონფერენციამ რაიკომის განყოფილებამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად.

კონფერენციამ დახტრული (ფარული) კენჭისყრით აირჩია რაიონული კომიტეტის და სარეგიონო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რაკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ვ. გოგიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ი. მაკარიძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. კ. ზარნაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა გაზეთი „კომუნისტის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ბ. ნანტარაშვილი. (ს.ა.ტ. კორ.).

ჭიათურის რაიონი

ორ დღეს მიმდინარეობდა ჭიათურის რაიონის პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. ზიდაშვილმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა სოფლის მეურნეობისადმი რაიკომის ხელმძღვანელობაზე და აღნიშნა, რომ, მიუხედავად ერთგვარი წინსვლისა, ფლიმფე მაინც არ სრულდება მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდილობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. ეს იმით იხსნება, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ავრო და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისათვის.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე პარტიულ-ორგანიზაციული და საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებზე.

სარეგიონო კომისიის თავმჯდომარის ამხ. შ. ფუტკარაძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

კონფერენციამ რაკომის განყოფილებამ ცნო დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი—სწორად, დაამტკიცა სარეგიონო და სამანდატო კომისიების მოხსენებანი.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის და სარეგიონო კომისიის შემადგენლობა, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები და მიიღო სათანადო დადგენილება.

რაიკომის პლენუმმა პირველ მდივნად აირჩია ამხ. ბ. ზიდაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. ი. გიორგაძე, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ბ. კუპატაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახალხოფიო საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ. ციმაკურიძე. (ს.ა.ტ. კორ.).

კავკასიის პატრიოტული ინიციატივის პასუხად

ავამაღლოთ საფრაქციო სამუშაოთა კულტურა

აბაშა. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). აბაშის მტს-ის კოლეტივის კაჭრეთელთა მიმართვა გაიცეო მტს-ის დირექტორმა, ლენინის ორდენოსანმა ბ. ბაკურიანმ. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ეფრონი მექანიკოსი რ. კაჭარავი. მან მზარი დაუჭირა კაჭრეთელთა თაოსნობას და იკისრა: ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი დაამთავროს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მოწვევამდე 25 დეკემბრამდე. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ეფრონი მექანიკოსი რ. კაჭარავი. მან მზარი დაუჭირა კაჭრეთელთა თაოსნობას და იკისრა: ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი დაამთავროს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მოწვევამდე 25 დეკემბრამდე—1949 წლის პირველი იანვრისათვის, წლის ბოლომდე დაზოგოს 11 ტონა საწვავი, ხოლო 1949 წელს—10 ტონა, ტრაქტორები ამუშაოს შეუფერებლად.

პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. გეგეშავამ თავისი ბრიგადის სახელით იკისრა ტრაქტორების რემონტი 20 დეკემბრამდე დამამავრონ, დაზოგონ საწვავი 5 პროცენტის ოდენობით, მოამზადონ 2 ტრაქტორისტი, დაიცვან ხვნის სიღრმე და ხარისხი, მიაღწიონ 1949 წელს ფიცარანი 120 პროცენტით შესრულებას.

შრომის წიაღელი დროშის ორდენოსანმა ტრაქტორისტმა ივ. სტორჩაკმა პირობა დადო 1949 წლის დავალება 160 პროცენტით შეასრულოს, დაზოგოს 400 კილოგრამი ნავთი, „სტუ“ მარკის ტრაქტორი კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად ამუშაოს 4 წლის განმავლობაში. ტრაქტორისტ შ. ჭოიავას ვალდებულებაა „სტუ“ მარკის ტრაქტორი ამუშაოს 4 წლის განმავლობაში ისე, რომ კაპიტალური რემონტი არ დასჭირდეს, თავის ტრაქტორზე მოაწყოს ელექტროგანათება, იმუშაოს ორ ცვლად, 1949 წლის საწარმოო გეგმა შეასრულოს 150 პროცენტით, დაზოგოს ნახევარი ტონა საწვავი. ე. კაკურიანის პირობა დადო „სტუ“ მარკის ტრაქტორი ამუშაოს 4 წელიწადს ისე, რომ არ დასჭირდეს კაპიტალური რემონტი. ხოლო ი. მიგიანენიშვილმა ვალდებულება იკისრა ტრაქტორი „უნივერსალი—უ-2“ ამუშაოს 4 წელიწადს კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ლენინის ორდენოსანმა ბრიგადირმა შ. ბოდუნოვამ, მარხიანმა გ. მიქაძემ, უბნის მექანიკოსმა ნ. კაჭარავამ. მტს-ის უფროსმა აფრონიმმა ამხ. დ. ესაკიამ განაცხადა: მოსავლიანობის გადიდების საქმეში ბიჭურინ-ვილიფოს-ლოსენკოს აფრონომიული მეცნიერების ფარგოდ დანერგვასა და განხორციელებას. შარშან ჩვენ ტარიფი სიმინდის ხელოვნური დამტვერიანება 1.700 ჰექტარამდე. წელს, პირობას ვდებთ ჩვენ ტარიფი 2.000 ჰექტარზე.

მტს-ის კოლეტივის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მხეროვალედ ეეგერთ მხარს კაჭრეთელთა მოწოდებას და ჩვენს მხრივ ვისრულებთ: ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი დაამთავროთ 1949 წლის 1 იანვრისათვის, ყველა სატრაქტორო ბრიგადა უზრუნველყოთ სათადარიგო ნაწილებით, შეუფერებლად გამეშაოთ მოძრავი სამელიორო. საკაზეფხული თესვისთვის მექანიზატორთა სკოლებში მოვამზადოთ 4 ტრაქტორისტი, 1 ბრიგადირი. ადიდებამზადოთ 4 ტრაქტორისტი. 2 ბრიგადირი, ხოლო მტს-ის ქალბიანი მოვამზადოთ 21 ტრაქტორისტი. საწვავსაცხები მასალა მთლიანად მოვიმარაგოთ ზამთარში, დაეზოგოთ 10 ტონა საწვავი. 1949 წლის მაძმილზე სატრაქტორო სამუშაოთა თვითფინანსებულება შევიმციროთ 50.000 მანეთით. ჩავატაროთ სამინდის ხელოვნური დამტვერვა 2.000 ჰექტარზე, ყველა ზომა მივიღოთ მტს-ს და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა მთლიანად შესრულებისათვის.

მტს-ის კოლეტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ინაჩხეთის მტს-ის კოლეტივი.

შირაქის ინვეევს წითელწყაროს

წითელწყარო, (სპეც. კორ.). შირაქის მტს-ის მექანიზატორები ერთსულოვნად გამოუხმაურნენ კაჭრეთელთა მიმართვას და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის იკისრეს: ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების საზამთრო რემონტი დაამთავრონ 1949 წლის 20 იანვრისათვის, ხოლო კომბაინებისა ვადაზე ერთი თვით ადრე, ჩამოაყალიბონ აგრომეცადინეობა ფრაგ, რომელშიც ჩაებამენ 10 კოლმეურნე მოსულეობა; ტიქმინიშვილის შემსწავლელ წრეში ჩაბაან 60 კაცი; საზამთრო რემონტზე თვითფინანსებულების შემცირებით დაზოგონ 80.000 მანეთი, 25 დეკემბრამდე სარეგიონო სამმეცრონი გამოიყვანონ ელექტროდენი და მოაწყონ ორ ცვლად მუშაობა.

ახალი ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა ბრიგადირებმა და ტრაქტორისტებმა. მეცხრამეტე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ყაჯრიშვილმა იკისრა ტექნიკური მოგლის წესების დაცვით, კაპიტალური რემონტის გარეშე მიაღწიოს ტრაქტორის შეუფერებელ მუშაობას 3 წლის განმავლობაში, მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. მელიქიშვილი).

მესამე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. დავითაშვილი) პირობა დადო როგორც ტრაქტორის, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები შეადეოთ 25 დეკემბრისათვის; ტრაქტორისტებმა მ. წილაურმა, გ. სუხიშვილმა, მ. ბოდიაშვილმა იკისრეს რემონტი დაამთავრონ 25 დეკემბრისათვის, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ ტრაქტორებმა შეუფერებლად იმუშაონ 3 წლის განმავლობაში ანაკლული რემონტის გაუკეთებლად.

შირაქის მტს-ის კოლეტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წითელწყაროს მტს-ის მუშაები.

თვითფინანსებულების შემცირებით დაზოგავენ 70 ათას მანეთს

სიღნაღი, (სპეც. კორ.). ალაზნის მტს-ის კოლეტივმა მხეროვალედ დაუჭირა მხარი კაჭრეთელთა მოწოდებას. ბრიგადირმა ტ. მენიფაშვილმა პირობა დადო 15 იანვრისათვის დამამთავროს 4 ტრაქტორის, 4 გუთნის და ერთი სათესის რემონტი, ხოლო კომბაინი ვადაზე ორი თვით ადრე შეაკეთოს. ახალი ვალდებულებები იკისრეს სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. ზაშნიაშვილმა, მ. გალკანმა, ს. პოპოვმა, ტრაქტორისტებმა შ. ელაშვილმა, ა. თითილოკაშვილმა, სახელოსნოს ბიგადე ბ. არაშიძემ, ისინი პირობას იძლევიან ტექნიკური მოგლის განხორციელებით კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად მიაღწინონ ტრაქტორების შეუფერებელ მუშაობას 3 წლის განმავლობაში.

კაჭრეთელთა მოწოდების პასუხად მთიანაად მტს-ის კოლეტივის ვალდებულება ასეთია: ბრიგადელ-კვალეტორი მეთოდის გამოყენებით ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი დაამთავრონ საქართველოს კ.პ. (ბ) XIV ყრილობის დღისათვის — 25 იანვრისათვის. ბრიგადა გადამტებით შეაკეთონ 2 ტრაქტორი, კომბაინები შეაკეთონ ვადაზე ორი თვით ადრე, რემონტის თვითღირებულების შემცირებით დაზოგონ 70.000 მანეთი, თვითეული ჰექტარი მიწის მოხვნა შარშანდელთან შედარებით გაიაფონ 10 მანეთით, მოაწყონ ავრორკა, რომელშიც ჩაბაან 80 მეურვეური და 16 ბრიგადირი, ტექმინიმუმის წრეში — 70 კაცი. სათადარიგო ნაწილების დამზადების თვითღირებულება შემცირონ 15 პროცენტით, მოამზადონ 22 კოლმეურნე მოესალი და 30 ტრაქტორისტი. ყველა ტრაქტორი ბრიგადა უზრუნველყოს სათადარიგო ნაწილებით.

დავამზადოთ და გამოვზიდოთ მეჯი ხე-ყვე

ზემო სვანეთის რაიონმა 5 ნოემბრისათვის მნიშვნელოვანი გადაკარგებით შესასრულა სამსაფე მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის წლიური გეგმა. გეგმის გადამტებით დამზადებულია 5 ათასი და გამოზიდულია 4 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე. ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში მომუშავე მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს უფრო ფართოდ გაიჩაონ სოციალისტური შეჯიბრება და 1948-49 წლების შემოდგომა-ზამთრის ხე-ტყის დამზადების სეზონისა გეგმა მოლიანად რაიონში შესასრულონ 1949 წლის 1 მარტისათვის, სეზონის ბოლომდი გეგმის გადამტებით დაამზადონ 10 ათასი და გამოზიდონ 6 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე.

ხე-ტყის დამზადების საწარმოო გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ზემო სვანეთის სატყეო მრეწველობის მუშაკები მოსკოვის 35 საწარმოს კოლეტივის პატრონეტი მიმართვის პასუხად კისრულობენ ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის თვითღირებულების შემდგომი შემცირებით მიმდინარე წელს სახელმწიფოს მისაცემ არანაკლებ 700 ათასი მანეთი ეკონომია.

— ღრმად შეგნებული გვაქვს რა ხე-ტყის დამზადების დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის, — აცხადებენ ზემო სვანეთის სატყეო მრეწველობის მუშაკები, — ჩვენ გადაფუყარეტეთ მთელი თავისუფალი მუშაობელი და გამზეური ძალა გადავიყვანეთ ამ უმნიშვნელოვანესი სახალხოსამეურნეო ამოცანის 1948-1949 წლებს შემოდგომა-ზამთრის სეზონში ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულებაზე. ამისაკენ მიმართულები რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის ყველა მუშაკი.

უიდეობისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ

მიმდინარე წლის 28 ნოემბრის გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ დაიბეჭდა პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსების ორი ციკლი — „კალოობა და რთველი ატენის ხეობაში“ და „გამამარჯვების ზეაზე“. ეს ლექსები, როგორც მათთვის მიწერილი თარიღებიდან ჩანს, დაწერილია უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, მაგრამ რატომღაც ავტორს მხოლოდ ახლა ჩაუთვლია საჭიროდ გამოქვეყნებისა. ისინი.

ეტნნმინი ამ ლექსებს და განსაკუთრებული რჩევით — როგორ შეიძლებოდა მოწონავე საბჭოთა პოეტს სიმონ ჩიქოვანს ასეთი რამ დაეწერა და ისიც დდეოოოოგიურ საკითხებზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებების შემდეგ! ეს ხომ ეუდეო, ფორმალისტური პოეზიის ნიმუშია!

პოეტს სურს გვიჩვენოს ახალი, საკოლმეურნეო სოფელი. მაგრამ კითხულობთ მის ლექსებს „კალოობა და რთველი ატენის ხეობაში“ და იქ ვერაფერს ნახულობთ სწორედ იმ ახალსა და თავისებურს, რაც მთავარი და დადახასიათებელია ჩვენი სოციალისტური სოფლისათვის მისი მიწერნავე ადამიანებით, ტაქენიკი, კულტურით.

მართლაც რას ხედავს პოეტი ჩვენს სოფელში?

სანლოლის შუქზე გაშლილ სუფრას, ხელიდან ხელში გადაფრენილ ხელადებს, პატარძალს, რომლისადმიც, აქვე ციტყვით, საკმაოდ არათავაზიანან დამოკიდებულებას იჩენს, ლიწკას კეკრით, ოდა, ასე გასინჯეთ, ირმების საშუალებით, ურემს, ხარებს, ქვევრს, პაპას. ამბრა არის აქ ახალი, საკოლმეურნეო სოფლისათვის დამახასიათებელი? ახსენო ლექსში სიტყვა „კოლმეურნე“ — ეს ჯერ კიდევ არ ნშნავს არევნო თანმედროვე სოფლის ახალი ადამიანი.

სარეკენნო ლექსებში პოეტი საერთოდ უგულებელყოფს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მოთხოვნებს და მიმართავს ყოველდ უცნაურ, არარეალურ სახეებსა და შეფარებებს. კოლმეურნე, რომელსაც პოეტი ვერ არჩევს ძველი ფრესკებისაგან, პატარძალი, რომლის შესახებაც პოეტმა არ იცის ცხადშია თუ ეღანდეს, ირმები, რომელთა შემწეობითაც პოეტი ჩამავალ ზეს ფიფრა და რქებში სტაცა ხელი, ხარები, რომლებიც „ღრუბლებივით დიდნონია“ და რომლისაც ყოველ რქაზე აქვთ „კალო და მინდორი“, — აი ორგორ სახეებს იყენებს სიმონ ჩიქოვანი.

მოვიყვანოთ რამდენიმე „ლექსი“:

„კოლმეურნის კალო ირმებს
ეალეწეო,
რქებს მივაკარ ყვავილები ქრელი.
ქეიტს ზეეახტი, ჩამავალი ზზეს
დავეწეო,
ბარჩხალა ზზეს რქაში ეტაცე ხელი.

ზზე ირმებზე დავიიდე და
დავსხიალეს,
ხოხბინფერი პატარძალი ზზეელის,
ზენ ზრომის ხვავს პატარძალო
ბაზარე,
რძე ზემასეი ირმისა და ზველის“.

რქიანი ზზე, რომელიც პოეტს ზღაურული ირმების დახმარებით დაუჭერია და ირმების რქებზე ჩამოუკიდნია, „ხოხბინფერი პატარძალის“ დახმარებით კალოს ლეწვა, ამავე დროს ირმისა და ზველის რძის სმა! — სწორედ უცნაური სურათია.

ან კიდევ:

„რთველით ურემს მიუძღოდა
ტურფა,
ულლის ხარებს რომ ამშვენებს
რა რქებია?
ხარებია თუ ღრუბლები სუფთა,
კოლმეურნის ზრომის ხვავი
სავსებია“.

რას ნიშნავს „რთველით ურემს მიუძღოდა ტურფა“, ან რა გამოიქმეა „ულლის ხარები“? ბოლო სტრიქონი — „კოლმეურნის ზრომის ხვავი სავსებია“ — სულ არ არის წინა სტრიქონებთან დაკავშირებული. ასეთი უაზრო სტრიქონები და უცნაური შეფარებები მრავლადაა სარეკენნო ლექსებში. მაგალითად, პოეტის აზრით, ჰაპას, რომელიც ქვევრს რეცხავს, შეუძლია „ღია თვალები“ „მიაფინოს მოწმენდილ ცას“; ეს ჰაპა, თურმე, ქვევრში „ღრუბლის დარად“ კიაფობს; მთებს, თურმე, „თეთრად კრთომა“ შეუძლიათ, ან აბუჟგეკა „თოვლიან ბეწვით“, კოხი „ულრან ტყესავით“ შეიძლება მოშხუოდეს და სხვა და სხვა.

სიმონ ჩიქოვანს აშკარა ლიტერატურული მარცხი მოუვიდა. მის სარეკენნო ლექსებს საერთო არაფერი აქვთ ჩვენი ეპოქის მოწინავე სოციალისტურ პოეზიასთან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნებას“ რედაქცია არასწორად, აშკარად უპრინციპოდ მოიქცა, როცა სიმონ ჩიქოვანის ეს უდავოდ ფორმალისტური, უიდეო ლექსები დაბეჭდა.

მაღალ კოლიფიკურ დონეზე ჩავატაროთ პროფკავშირული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებები

როგორც ცნობილია, 1949 წლის აპრილში მოწვეულია პროფესიულ კავშირთა მეათე სრულიად საკავშირო ყრილობა. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკებსა, ოლქებსა და მხარეებში მიმდინარეობს ძირეული, რესპუბლიკური და ცენტრალური პროფკავშირული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე პროფკავშირული ორგანოები ანგარიშს აბარებენ პროფკავშირთა წევრებს იმის შესახებ, თუ რა მუშაობა გასწიეს მათ საანგარიშო პერიოდში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების, სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღების უზრუნველსაყოფად, როგორ უწყობდნენ ისინი ხელს საწარმოებში სოციალისტური შრომის ახალი გაუმჯობესებული მეთოდების მასობრივად დანერგვას, რასპუბლიკურ საწარმოთა. ხელმძღვანელებს გეგმების შესრულებისათვის მასების დარაზმვაში და სხვ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები მეტწილად მაღალ პოლიტიკურ დონეზე, კრიტიკულა და თვითკრიტიკის ნაწილით მიმდინარეობს. კრებებზე პროფკავშირთა მასების აქტიურობა მაღალია. რიგითი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები წარმოების მოწინავე ადამიანები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე წარმოთქვეს სიტყვებში აკრიტიკებენ ადგილობრივი პროფორგანიზაციების მუშობის ნაკლოვანებებს და შეაქეთ წინადადებები, თუ რა საკითხებს უნდა მიექცეს მომავალში მეტი ყურადღება, რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს პროფკავშირულ მუშობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პროფორგანიზაციის საანგარიშო-საგადარჩევნო კრებების ჩატარებაში ზოგან არის ნაკლოვანებებიც. სუსტად ხელმძღვანელობს ანგარიშებსა და არჩევნებს საქართველოს საკავშირო-სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (თავმჯდომარე ვ. ბერიკაშვილი). საანგარიშო-საარჩევნო კამპანის დაწყების წინ ამ პროფკავშირის ხაზით არ მოუწყვიათ საფაბრიკო-საკარხანო კომიტეტებისა და სარეგიონო კომისიების საინსტრუქციო თათბირი, არავითარი დახმარება არ გაუწევიათ ძირეული პროფორგანიზაციებისათვის კრებების მომზადებასა და ჩატარებაში. ამიტომაც მთელ რიგ საწარმოებში პროფორგანიზაციებმა არჩევისას ადგილი ჰქონდა დარღვევებს.

მაგალითად, თბილისის სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატში მეორე და მესამე ცვლების მუშათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები სრულიად მოუმზადებლად მიიწვიეს და რამდენიმე წუთში ჩაატარეს. 6 საათკრდან საანგარიშო კრებები შეიდა მხოლოდ 2 საამქროში და ამ კრებებზეც არავითარი ღონისძიება არ დაუსახავთ. კომბინატში 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ვერ მოახერხეს საერთო-საფაბრიკო პროფკავშირიული კონფერენციის მოწვევა, ხოლო რესპუბლიკური კომიტეტი, თითქოს ეს მას არ შეეხებოდეს, თავის მხრივ არავითარი ღონისძიებას არ იღებს.

თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში ცვლების მიხედვით საანგარიშო კრებები არ მოწყვეთილი და მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელი პროფორგანიზაციიდან არ ჰქონდათ დასტური, მოიწვიეს სათაბრაკო პროფკავშირული კონფერენცია, უხეშად დაარღვიეს ინსტრუქცია, არ გადაურჩენიათ საფაბრიკო კომიტეტის ძველი შემადგენლობა და ამ შემადგენლობას მხოლოდ 2 ახალი წევრი დაუმატეს.

პროფორგანიზაციის ანგარიშგება-არჩევნების შეუფასებლობას ადგილი აქვს ზოგიერთი სხვა კაჟრის ხაზითაც.

15 ნოემბრის დღეშიაში მოწვეული იყო ბეს მუშაოთა საანგარიშო-საარჩევნო კრება. რაიონიული საგზაო განყოფილების უფროსს ამხ. გეგაძეს სთხოვეს დასწერებოდა კრებას და ეთქვა მინა შეკრებილი მუშებისათვის. იმ დროს, როცა კრება უნდა გახსნილიყო, ამხ. გეგაძე სასწრაფოდ გამემგზავრა სხვაგან.

საქართველოს შაბტმშენებლობის ტრესტის თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსმა ამხ. ვარანაზოვმა არათუ დახმარება გაუწია ადგილობრივ პროფორგანიზაციას კრების მოწვევაში, თვითონაც ზედამეტად მიიჩნია ამ კრებაზე დასწრება.

პროფორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებები გრძელდება. საჭიროა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციებმა ორგანიზაციებისთვის. ამ-ეფ-ეს-

გაერთიანებული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შესახებ

პოლონეთის მუშათა პარტიის გენერალური მდივნის ბ. ბერუტის მოხსენება პოლონეთის მუშათა პარტიების გამაერთიანებელ ყრილობაზე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 15 დეკემბერი. (საკვლ.). პოლონეთის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ბ. ბერუტი, რომელმაც მოხსენება გააკეთა პოლონეთის მუშათა პარტიების — პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის—გამაერთიანებელ ყრილობაზე, შეეხება პოლონეთის მუშათა მოძრაობის ისტორიის ძირითად ეტაპებზე.

პოლონეთის მუშათა კლასს გამაერთიანებელი ყრილობა, თქვა ბერუტმა, იმ ძლევამოსილი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპია, რომელიც ემყარება ისტორიული მეცნიერებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრაქტიკის ძირითად პრინციპებს. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გაერთიანებული პლატფორმა მტკიცედ და გადაჭრით დაეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების პრინციპებს, ერთადერთ სწორ, ურღვევ, საერთაშორისო და ჩვენი პოლონეთის მუშათა მოძრაობის ისტორიით შემოწმებულ პრინციპებს, რომლისაც კაცობრიობა სოციალიზმისაკენ მიჰყავთ. პოლონეთის მუშათა მოძრაობა აზრდებოდა და აწვიფდებოდა 70 წლის შეუპოვარ კლასობრივ ბრძოლაში, ძლევდა რა თავის შინაფეო

პოლონეთის მუშათა პარტიების გამაერთიანებელ ყრილობაზე

ვარშავა, 15 დეკემბერი. (საგდესი). **პოლონეთის მუშათა პარტიების გამაერთიანებელ ყრილობას** მიესალმნენ მოძმე პარტიებისა დელეგაციები.

ყრილობას ესწრებიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ბ. კ. პონომარიოვს და „პრავდა“ მთავარი რედაქტორის ამხ. ბ. ნ. პოსპელოვის შემადგენლობით, აგრეთვე ჩეხი მოძმე პარტიებისა — ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის, მონტენეგროს სპურიანეთის, რუსეთიდან ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ფინეთის, ინგლისის, პოლონეთის, ბელგიის, დანიის, ნორვეგიის, შვეიცარის, ბრაზილიის, არგენტინის, ისრაელის, გერმანიის პარტიების დელეგაციები და საფრანგეთის ახალი სოსიალისტური“ (მემარცხენე ჯგუფი, რომელიც ამას წინათ გამოეყო საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას) დელეგაცია.

ტოსნის ბრიგადები ყრილობის ტრიბუნაზე ადის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამ. კ. პონომარიოვი.

ტრიბუნაზე პოლშეკიური პარტიის წარმოსადგენლის გამოსვლის ყრილობის დელეგატები უდიდესი ენთუზიაზმით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზში გუგუნენს „ინტერნაციონალი“.

ამის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამ. კ. პონომარიოვი კითხულობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილს პოლონელთა გაერთიანებულ მუშათა პარტიის ყრილობისადმი:

„პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის გამაერთიანებელ კონგრესს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ჭეშმარიტ სალამს უძღვნის და მუშაობაში წარმატებას უსურვებს პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის გამაერთიანებელ კონგრესს.

ერთიანი რეკონსტიტუციური პარტიის შექმნა მოასწავებს პოლონეთის მუშათა მოძრაობაში გაითშლის ლაკეთიკაა და პოლონეთის მუშათა კლასის ისტორიაზე მნიშვნელოვან ეტაპად. წარმოდგენილ. მარქსისტულ-ლენინურ იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე დამყარებული, ინტერნაციონალისტური ტრადიციების ერთგული ერთიანი მუშათა პარტიის შექმნა ახალი სამალნო დემოკრატიული პოლონეთის მშენებლობისა და სოციალიზმის ოდეების განხორციელების საქმეში შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

ახლა პოლონელი ხალხს შეუძლია გამდელად ეუფლებოდეს მომავალს. დაამსტერია ინ ინპერიალისტის ხელებში და შეეიდი დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ბანაკში, სამალო პოლონეთი ისევ, სოციალისტურ ბანაკ დადგა. ეს ჭეშმარიტად პოლონეთის საქართველო ძალაა. ეს ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესი. ინტერნაციონალისტური ტრადიციების ერთგული ერთიანი მუშათა პარტიის შექმნა ახალი სამალნო დემოკრატიული პოლონეთის მშენებლობისა და სოციალიზმის ოდეების განხორციელების საქმეში შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

ამ ნიშნებით ეროვნული ინტერესებიდან ამოსავალი. ეროვნული ინტერესებიდან ამოსავალი. ეროვნული ინტერესებიდან ამოსავალი.